

# PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ  
29 ივნისი 2018

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:  
ნათია ჩოფლიანს, მრჩეველი ტურიზმის საკითხებში  
ტელ: 032 222 7495 მობ: 593104644  
ელ-ფოსტა: nchoplani@zrda.ge

## მედია ტური "აღმოაჩინეთ მეტი სამეგრელოში" - USAID-ის პროექტ ზრდა-ს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივა

მარტვილი, სამეგრელო - დღეს, 29 ივნისს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ ზრდა-ს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ქართველ ჟურნალისტებთან, რომელიც სამეგრელოს რეგიონში ახალი ტურისტული მარშრუტების, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსის პოპულარიზაციას, ამასთან თანამედროვე და მოთხოვნადი სერვისების განვითარების მხარდაჭერასა და დამატებითი ტურისტის მოზიდვას ისახავს მიზნად.

ახალი ტურისტული პროდუქტების შემუშავება-პოპულარიზაციის მიზნით, USAID-ის პროექტ Zrda-ს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, 29 ივნისს-1 ივლისს რეგიონში ტარდება მედია ტური ქართველი ჟურნალისტებისათვის, რათა გაიზარდოს სამეგრელოში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ხელი შეეწყოს მეტი ვიზიტორ-დამსვენებლის მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი სუბიექტების შემოსავლების ზრდას და განვითარებას. მედია ტური მოიცავს მარტვილის, ჩხოროწყუს, და სენაკის მუნიციპალიტეტებს და ემსახურება რეგიონში არსებული და ნაკლებად ცნობილი უნიკალური ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მეგრული სამხარეულოსა და აგროტურიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. დამატებით, შეიქმნება ტურისტული ობიექტების მონაცემთა ბაზა, რაც ხელს შეუწყობს შეთავაზებათა სპექტრის გაზრდას და ვიზიტორთა ნაკადის მატებას.

ტურის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებმა მოინახულეს განახლებული მარტვილის კანიონი; სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენცია; ოცინდალეს მამათა მონასტერი, საიდანაც ხელისგულზე მოსჩანს კოლხეთის დაბლობი; ეგრისის სამეფოს (ლაზიკას) დედაქალაქი IV-VIII სუკუნეებში -ნოქალაქევი და დააგემოვნეს უგემრიელესი მეგრული სამხარეული.

USAID-ის პროექტი Zrda ასევე ხელს უწყობს სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის განვითარებას რეგიონებში. ვინაიდან სამეგრელო გამოირჩევა უნიკალური ბუნებით - მთაგორიანი რელიეფი, ჩქარი მდინარეები, თვალწარმტაცი ტბები, მღვიმეები და წყალუხვი



საქართველოს ტერიტორიის  
მართვის ადმინისტრაცია



**USAID**  
ამერიკელი საზღვარგარეთის  
დახმარების აგენტი

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



**Chemonics**  
Development works here.

კანონები, რაც წარმოადგენს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების წინაპირობას, Zrda-ს ინიციატივითა და მხარდაჭერით სამეგრელოში ამოქმედდა საფეხმავლო გამყოლების, ჯომარდობისა და კანიონინგის ინსტრუქტორებისა და მყვინთავების გადამზადების კურსები პროექტის სამიზნე თემებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. პროგრამის მომზადებასა და ქართველი ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლებას უზრუნველყოფენ ჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციის (IRF), კანიონინგის საერთაშორისო ასოციაციის (CIC) და საერთაშორისო სამაშველო ტრენინგ ორგანიზაციის წარმომადგენლები (Rescue 3). ამასთან, Zrda-ს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მარკირებული საფეხმავლო მარშრუტების ამსახველი ელ.რუკების განთავსება საერთაშორისო საძიებო სისტემაზე [www.wikiloc.com](http://www.wikiloc.com), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებულთა შორის. ეს უკანასკნელი კი, დამატებითი ვიზიტორის მოზიდვის კიდევ ერთი საშუალებაა.

USAID Zrda-ს მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების და შიდა მეურნეობების შემოსავლების ზრდას და შესაბამისად რეგიონების მდგრად ეკონომიკური განვითარებას.

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge); [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>